

საბურთაქო

№ 4.

საღამური

ყოველ-კვირიანი იუმორის ჟურნალი.



ლოცოვიაფია ს. ბიბიჯანი.

სრულიად რუსეთის „შეპარღნები“

(სიჩვევა. სახელმწიფო ღუმის თავმჯდომარისა და
 რამოდენიმე საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით იხსენება
 საგიმნასტო საზოგადოება „შეპარღნი.“ „СЮЖЕТ“).
 (დებ. სააგენტო).

მუზას.

I.

გამხსნედი მუზავ, არ მიმუხთლო შენსა შეგობარს,
ჩემს ღალ გულის თქმით ფრთა შეასხი, მოეცი ძალა...
არ შეუშინდე მწველა ჩვედრს, დუხსირ ცხოვრებას,
თამამად შეესვით მწარე გესლი, მწარე სამსლა.
მუხთაღმა ბედმა ეს გვარგუნა, ეს დავიძემადა
ობლათ მთარულთ, სხაიფაო, კედის გზაქე,
ახერი ტანჯვა ჩვენთან შობა, ჩვენთან დაჭბადა,
რომ ვერ ვიგეით ჩვენ სიამე დედა-მამაზე
მახვე დარავათ მოგვივლინა სულის ქურუმბა,
რომ ტანჯვა-გვეგესა მოთმინებით გარდავიტანოთ,
უხმოთ ჩავიკლათ სულის დტოლვა, გულის ზრახვანი
ბორბტების წინ დავიწოქით, ქედი მოვხაროთ.
მაგრამ ქვ, მუზავ, შორს ეგ ახრი, ჩვენ შინა არ ვართ
ბატონის უკმეხ ბრძანებაზე უერ დტკვეტილი,
ვაცით მიზანი ამ სოფლად თუ რისთვის გავჩნდით
ვკლარ დავგავთხობს შავი ცხე, ტანჯვით სიკვდილი.
დე შათ იტირონ სხნის იმედი ვინაც დაჭკარვა,
ვინც მონად იშვა, წამოდგომა ვერ გაუბედავს
ვინც მომავალს ახვია, ზურგი აქცია,
წარსულისაკენ იუწრება, სხნის მასში სედავს.
ჩვენ კი შორს, მუზავ, ამ ბედ-შავებს შორს ჩავფაროთ,
წინ, შეუბოვრად, შავი ბედი ვერ დავგვძლევს, ვერა
გულის ნადველი ჩანვის სამეხს კარდავაქსოვლი
და უდარდელათ შემოვძახით ჩვენი სიმღერა.

II.

ნავი დაიძრა. ზღვამ ტალღები შეკრთრტმანა,
ჭარმა დაჭბურა, იალქანი მძლავრათ გაბურა
შიაბობს ზვირთებს.. შიახლოვდა ჯლოქის ქვეყანა,
ჩვენ წინ მივდივართ... ვაი იმთ ვინც მოგვევა ვერა.
ჭა შეხე, მუზავ, გადჯლახეთ ტალღათ გორები
უკმეხ სტიქის ჩვენი ნავი აღარ უდრეკება,
სინბებს მოუსვით, მოვიმარჯვოთ საჭე უდრეკი
საცა მალე სხვა შესვეტ გზათ შემოგვხვდება.
დიდი ხნია მიზნასათვის თავ-დადებულნი
სიპართლის შეიღნი აჭვეჩენ სსსტიე წერას ბედისას,
ტანჯვა-ფება, გასკირში გამოწრთობილნი
მედგრათ მისცურვენ და ღამიბენ შეველას ქვეყნისას.
მწარე ცხოვრებამ ვერ გასტეხა იმითი გული,
უღმობელ ხვედრმა ვერ წარკვეთა მათი იმედი
სიძულვილისგან სურთ გაქედონ მათ სიუფარული,
ტირისისგან გამოწრთონ მცინარე ბედი:
ჭა, უერი უგდე, ისმის კადეც მათი სიმღერა,
გადადებულნი ნავებს მედგრათ მოადრებებს,
სტიქის დეღვა თავ-დადებულთ ვერ შეფურხებს
ზვირთთა ღრიალზე ძალას უფრო იორკეცებს.
ჩვენც მედგრათ, მუზავ, მხარი მივსცეთ ერთგულ შე-
გობარს

არ მიღალატო, არ ჩამოვრჩეთ ნაცნობ შეგობართ,
იქ დავისვენოთ, იქ ჩამოვსხნათ ხვს იალქანი,
სადაც აღსრულდეს... სადაც ვნავოთ ჩვენი მიზანი
6. ჩხიკვაძე.

ქართული მწერალი.

ბ.ნი სიტყვა დღეს დილითგანვე ცუდს გუნე-
ბაზე იყო, ჩვეულებრივადაც ნაღვლიანი, მუდამ
მოწყენილი და ცრემლ მორეული მუშაკი ქართული
სიტყვისა, დღეს უკიდურეს პესიმიზმსა, თუ სასო-
წარკვეთილებას შეუპყრია. მას თვალწინ ედგა ჩვე-
ნი ცხოვრების ბრწყინვალე წარსული, საზარელი
აწმყო და უიმედო მომავალი. განსაკვიფრებელის,
მხოლოდ მისდამი განგებისაგან მინიჭებულას შორს
მჭვრეტელობით ხედავდა ის ჩვენი ხალხის უნუგე-
შო მომავალს, მის განადგურებას, მის აუცილებელ
აღგვას პირისაგან ქვეყნისა. აგრეთვე ნათლად ხე-
დავდა ყველა მის მტრებს, ყველა ორგულებს სამ-
შობლო ქვეყნისას და თუ არ სირცხვილი თავისი
თავის წინაშე, უთუოდ მდღულარე ცრემლით განი-
ბანდა სულის ტანჯვასა და გულის მწუხარებას.

ვაუკაცის ცრემლი ყოველთვის ძვირფასია, მუ-
დამ ჟამს მოსაწონია!

უცებ, ვილაცას მუხბლაღმა ხელმა ანაზღვეულათ
ჩაიოკრა ზარას. წმინდა, წკრიალა ხმა გაიბნა მთელს
ოთახში და ფიქრებით დატვირთული მოღვწე თით-
ქოს შეაკრთო და გამოაფხიზლა. ის დინჯათ მიუ-
ახლოვდა კარებზე მიმაგრებულ უჯრას, გააღო და
ორი რუსული გაზეთი გამოიღო.

— ა!

დახვდა სიტყვამ გაზეთებს და თითქო ვისმე
უნდა ანიშნოს რამეო, დატანჯულის კილოთი წა-
მოიძახა.

— არა, რას ფიქრობენ ეს უგუნურები! რას
ერჩიან ჩვენ ხალხს ავი უმეცრები! რა უნდათ მის-
გან, რა უნდათ!

სიტყვამ გაშალა პ. გოთუას გაზეთი, წინ დი-
ლო და ილაც-დაყრდნობილი დაატკერდა მის უმ-
ნოთ აქრელებულ გვერდებს.

— გ. გვაზავ! აი ასემც ზაპრუმა დავაზავდა
ე მაგ თავზე! არა ერთი მითხარი შე უბადრუკო
შენა, რა უნდა დასწერო შენ, რომ რუსები გააკ-
ვირო? არა რა უნდა დასწერო შეთქი, რა? გაჩუმ-
დი განა! ან კი რა გაქვს სათქმელი!.

უცებ თითქო შეშრილდა გოთუას გაზეთი;
თითქო მისი იღუმალი ხმა მოხვდა ფხიზელი მოლ-
ვაწის ყურებს...

— რაი, რაი? მთავრობის მოხელოებთან გინდა
იმოციქულო? მერე ვინ მოგანდო შენ ასეთი ხე-
ლობა? შენზე უფრო კჳუიანი მვისპო, თუ კი გა-
მოდოდეს რამე მოციქულობიდან?..

ოთახში შემოჭრილმა ქერმა, თუ ბ-ნი სიტყვას გაძლიერებულმა სულის თქმამ, კვალად შეაშრილა გაზეთის ფურცელი.

— კილო? შენისთანა ქარაფშუტებს შეუძლიათ მარბის თეორია დაარღვიონ? პირიქით, შენ თავი მოგვექარი საჯაროთ, საქვეყნოთ. ქე რომ ლაპარაკობს და აღარც რცხვენია?! მერე ათასჯერ უკეთესი არ იყო შენი სისულელე ქართულათ დაგეწერა, ქართველებისათვის? ახლა რას იტყვიან რომ წეიკითხავენ? მაგრამ რას ვამბობ!..

აქ ბ-ნი სიტყვა იმ ზომ ღრმათ ჩაფიქრდა, რამდენათაც კი ეს მოსახერხებელია დროების თანამშრომლისაგან.

— არა, ეს რა ვთქვი!.. უცხო ხომ მართლა არაინ წეიკითხავდა. ეს გაზეთი ხომ ქართველი რუსებისათვის არის დაწერილი!..

ამ ჩხუბსა და ლაპარაკში სიტყვამ უკვე გადაათვალღერა გოთუას „ახალი სიტყვა“ და წინ „ზაკაკაზიე“ გაღაიშალა.

— ერთი ეს არის კიდევ ქართული ინტერესების დამცველი და ეროვნების გამაბედნიერებელი! ფუი შენს პატრონს!

ბ-ნი სიტყვა აღგზნებულის თვალეებით ჩააცქერდა გაზეთის ერთ კუნჭულს..

— „ეს მე ვარ“! ჰმ... ეს მე ვარ! არა, შენ ხარ აბა ვინ ოხერი იქნება ქართველთა ტომის გარუსებას შეალიოს თავისი ძალი და ღონე? კიდევაც რომ ტრაბახობს?! შემომხედეთ ერთი, ეს მე ვარო? ვაი შენს მოსწრებას, შე უბედურო, შენა ის არ გეყოფა, რომ ქართველი ხალხის გადაგვარებას ემსახურები და კიდევაც კილო ჰკვენი?! ქეშ-მარტათ წასულია ჩვენი ხალხის საქმე ხოლომე.

სიტყვა მესამეჯერ და სამ გზის უფრო ღრმათ ჩაფიქრდა. იმ ზომ დაუფიქრდა საქვეყნო საქმეს, რომ უნებლიეთ, ინსტიტუტურათ, სალოკი თითის მაგიერ ცერი მიიბჯინა დამწუხრებულ შუბლის სივრცეზე.

— აჰა! უეცრივ გამოერკვა ის. ახლა მივხვდი დიადს განგებას მეუფისას! კულიანი ვარსკლავი! კულიანი ვარსკლავი! ის ჩვენი გადაგვარების მომასწავებელია! დიდება შენს სახელს მეუფეო! სამი საუკუნე გვიცხოვრია, ჩვენი ისტორია სისხლით დაგვიწერია და ესლა, ვილაც ნაცარქექია გარუსებულმა ინტელიგენტებმა ბოლო უნდა მოგვიღონ. ნუ თუ ეს იყო ჩვენი ბოლო, ნუ თუ ეს დავიმსახურეთ დაუსრულებელ ტანჯვა მწუხარების სანაცვლოთ!...

სიტყვას გაუხსენა ძველმა ღრომ და მწარე, მწველი და ნაღვლიანი ცრემლის ნაკადი დაედინა თვალთაგან. მცირე ხნოვანი, მაგრამ გულითადი იყო გლოვა იმისი.

— „ეს მე ვარ“..ო! არც კი სცხენია, არც-კი სცხენია! აი კიდევ! „აბოსელი“ სწორეთ ბოსელი სკირია ამისთანა ცხოველს! ქეშმარტათ ბოსელში

უნდა დაიბას! ხალო და ჯამათო! რასა გაეს ეს თქვენი ქირიმეთ, რასა გაეს. ენა დაეცა, ხალონი დაეცა, ხელოვნება მუშებს ჰქონდეთო, ქართული, დაბალი ხალხისათვის დაგვილოცნათო, განა ეს იყო ჩვენი ბოლო? და ვინ არის მერმე ყველა ამაში დამნაშავე? ვინა და მერუსულე ქართველი მწერლები.

ბ-ნმა სიტყვამ „ზაკაკაზიე“ ბოლომდე ჩათვალღერ ჩაიკითხა. მისი მდღეღარება თან და თან იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია მისდა უნებურად, ხმასაც უმატა, კიდევაც წამოდგა და გაცხარებული ხელების ქნევაც დაიწყო.

— ვერა, ცბიერებო, მე ვერ მომატყუებთ! მაგრამ განა ცოტაა უბრალო, უმეცარი და თუნდაც უგუნური მკითხველი? აი ვინ შეგყავთ თქვენ შეცდომაში, აი ვის აბრიყვებთ, თითონ ბრიყვები და ქვეყნის მოლაღატენი. მე კი ვერა, ვერა, ათასჯერ ვერა! მე მძაგს თქვენი ხელობა, თქვენი მოღვაწეობა, თქვენი უკაცრავათ პასუხია მწერლობა...

აქ გაწყდა მოთმინების ჯაკვი და ბ-ნმა სიტყვამ ნაკუნ-ნაკუნ აქცია ჯერ კიდევ საღებავ შეუშრობელი რუსული გაზეთები. მერე მაგრათ დაქმუქნა და საწერი სტოსლის ქვეშ კალათში ჩაუძახა.

— მეც ერთი სულელი! გაზეთებს რას ვერჩოდი? მცირე ფიქრის შემდეგ ჩაილაპარაკა ბ-მა სიტყვამ და უმეტეს დამწუხრებული, მოწყვეტით დაეშო სკამზე.

ძნელია საზოგადო მოღვაწეობა, ძნელი! გშმაკი.

განთიადს ველი!..

განთიადს ველი... განთიადს მოციმციმ მონარნარესა, რომ გამოკრთება ცის თაღზე აელვარებს მხარესა.

სხივს მოჰვენს, ეამბორება ბუნების ტურფა წილსა, კიურ მარგალიტს აპკურებს ზამბახს, ვარდსა და იასა.

მაგრამ ამაოთ!.. ნანატრი შავ ღრუბლებს დაუმონია. იმისი ელვარებისთვის უკუნი შეუწონია.

ცაო, აიხსენ ძაძები, ნუ დაგვცქერ ვგრე წყენითა, ბნელ წყვილადს გული გაუბე ცეცხლის მფრქვეველი ენითა და განთიადის სხივები

გადმოაფრქვევ არესა, საზღვარი მიეც ესოდენ ჩემს ტანჯვა-სიმწუხარესა.

დ. თურდოსპარელა



E. DZHIGALOV

თეილისის თეითმართეულობის ვნ წლითაუი.

(დვილის სიმკორის გამი სამწუხარით ვერ შევიძლიოთ კველა დუბუბატების სრულად წარმოიდგენა).
 "მორი" "ჩედაქ"

თავმოყვარეობა

(თარგმანი «სატირიკონიდან»)

მხოლოდ ერთხელ გამიღიმა ბედმა და თავი უუუბედნიერეს რუსეთის მოქალაქეთ მაგრძობინა. მართალია ჩემი ბედნიერება ხან-მოკლე, წუთიერი იყო, მაგრამ ნამდვილი ბედნიერება დროს რაოდენობით ხო არ იზომება?

* *

უცხოეთის ერთ-ერთ აგარაკში, სასიამოვნო სადილის შემდეგ მეგობრული მუსიკით ერთობოდა ერთობ ქრელი ჯგუფი სტუმრებისა. აქ იყვნენ ინგლისელები ფრანგები, იტალიელები, ამერიკელები და ესპანელები...

მე სულ ახალი სტუმარი ვიყავი მათ შორის და არავინ იცოდა ჩემი ვინაობა. საუბედუროთ ინგლისელთან მუსიკის დროს სრულიად უნებურათ წამომცდა:

— ჩვენ რუსები...

ინგლისელი წამოხტა და განცვიფრებულმა დაიყვირა:

— როგორ?! თქვენ რუსი ხართ?! ნამდვილი რუსი?.. საცოდავები!.. რო იცოდეთ, რა რიგ თანაგვიგძნობთ?..

მეორე ინგლისელმაც ყური მოჰკრა ამ განცვიფრებას და ჩემკენ მოტრიალდა.

— ოჰოო! თქვენა ხართ რუსი?! გენრი, გენრი, მოდი აქ! აი შეხედე, იქ რო ზის ნამდვილი რუსი ყოფილა. აბა კარვით დააკვირდი...

ამერიკელმა გამოიღო პირიდან სიგარა, კარვით ამათვალიერა-ჩამათვალიერა და შესძახა:

— ნამძღვეს მოვდივარ, რომ ეს მართლა ნამდვილი რუსი უნდა იყოს. შეხედეთ როგორი დატუქსულ-დაჯაბნებული შეხედულება აქვს!...

ყველანი გარს შემომვრტყენ და ცნობის მოყვარეობით დამიწყეს თვალთვლება. თითქო შეამჩნიეს ჩემი შეკრთობა, მომიხალერეს:

— ნუ გეშინიათ, ჩვენ არას დაგიშავებთ...

ორი განზე გამდგარი ზორბა ნემეცი ჩუმათ ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

— შენ ცოტა ერიდე. ამბობენ ეს ნამდვილი რუსიაო.

— მერე რა, რომ რუსია?

— რა და ისა, რომ ჯიბეში უთუოდ ბოშა ექნება.

ესპანელი, კეთილი მეგობრულის გრძნობით ხელს მისვამდა პექებზე და მამუვიდებდა, როგორც ბავშვს.

— ნუ სწუხხართ! რა ვუყავთ მერე რომ რუსი ხართ... არაფერია.. ნუ გეშინიათ, ყველაფერი მორიგდება.

ერთი ფრანგი განრისხდა და დასტუქსა მეგობრები:

— რა ამბავია ბატონებო, რომ ვერე ჩააცვიდით ამ ყმაწვილს? განა რა მაგის დანაშაულია, რომ რუსთა გაჩენილა?!

* *

ყველივე ამან გულის სიღრმემდე აღაშფოთა ჩემი ბუნება გულზელი დაეკირაფე, სახეს გარეგნული ღიმილი მოვფინე და მოკვებრუნდი ჩემს ახალ ქირისუფლებს.

— ძლიერ სამწუხაროა, ბატონებო, რომ თქვენ დღესაც, ნევის პროსპექტზე მონაყარდე დათვების აზრისა ყოფილხართ რუსეთის შესახებ სასურველია ვიცოდე, რისთვის მიბრალეთ ვერე, მოწყალენო ხელმწიფენო?

— როგორ... რატომაც არა. . გაუბედავთ და თავაზიანათ მიპასუხა ინგლისელმა, თქვენ ხომ ერთადერთი, უფლებას მოკლებული ერი ხართ მთელს ევროპაში? თქვენ ხო არა გაქვთ კონსტიტუცია...

მე მუცელზე ხელი ვიტაცე. მოვიკუნტე და, ხელოვნური, განსაკვიფრებელი ხარხარი ამოვიკიდე.

— როგორ?... ჩვენ... ჩვენ არა გვაქვს კონსტიტუცია?! ხა. .ხა...ხა.. ხა!.. რომელმა ხუმარამ მოგატყუათ ასე უღმერთოდ! ჩვენ გვაქვს ნამდვილი, ქეშმარიტი კონსტიტუცია, რომელიც ანიჭებს ხალხს ყოველგვარ კულტურულ უფლებებს.

— მაშ უკაცრავათ ვყოფილვარ, ცოტა დარცხვნილი კილოთი მიპასუხა ინგლისელმა. ეს გაზეთები მუდამ სიცრუესა და ქორებს თხზვენ, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, როგორ შეიძლება თქვენში კონსტიტუცია იყოს, როცა პასუხის მგებელი სამინისტრო არა გყავთ?..

— განა ვინ მოგატყუათ, რომ ჩვენი მინისტრები პასუხს არ აგებენ პარლამენტის წინაშე? დიხახაც; ისინი პასუხის-მგებელნი არიან!

— მართლა? გასაოცარია სწორეთ! მაშ რატომ არის, რომ რომელიმე გუბერნატორს შეუძლია ისე მოეპყრას თქვენებურ მოქალაქეს, როგორც გული ეტყვის და მოეხალისება?

მე თვალევი დაეაბრიალე.

— როგოოოოოო?! აი კიდევ ერთი ცოცხალი ტყუილი! განა თქვენ არ იცით, რომ ერთხელ ერთმა ღიდმა მოხელემ უდანაშაულო კაცი დაატყვევა და ამისათვის ის მაშინვე გადააყენეს და ჯარში ჩარიცხეს?

— ვინ ჩარიცხეს, დატყვევებული? გულუბრყვილოთ შეგეკითხა ესპანელი.

— არა, დატყვევებული კი არა თვით აღმინისტრატორი.

— გასაოცარია სწორეთ! მე წამიკითხავს თქვენს ტოლმაჩოვზე ..

მე თავი მოვიკატუნე.

— ვისზე?..

— ტალმაჩოვზე...

— ასეთი ვინმე ჩვენ სულაც არა გვყავს— არა, არა და ათასჯერ არა. უსირცხვილო ღიმილით დაუღუდასტურე. არა თუ გვყავს, არც არასოდეს გვყოლია.

-- აი სერი თუ გინდა! გოაცებით წაშობიხარ ამერიკელმა. ამის შემდეგ მე იმასაც კი დაიჯერებ, რომ რუსეთში არ არის არც არაყის მონოპოლია.

მე თანდათან სიურცხვე მემატებოდა.

— თქვენ რასა ბრძანებთ?

— მე იმას მოგასხენებთ, რომ თქვენში უნდა იყოს არაყის მონოპოლია. ე. ი. მისი გამოხდა და გაყიდვა ხაზინას აქვს აღებული და ნახევარი შემოსავლიც მას მიაქვს.

-- ხა... ხა... ხა...! სწორეთ მიკვირს საიდან ჰკრებთ ასეთ ზღაპრებს. პირიქით, ჩვენი ფინანსთა სამინისტრო განსაკვიფრებელის ენერგიით ებრძვის ლოთობას. გლეხებს ციხეში ჩადებთ ემუქრებიან ერთი წვეთი არაყის დაღვეისათვის.

— მაშ რასა სვამენ?

— რასა?... რასა და შამპანიურებს.

— ეს სწორეთ წარმოუდგენელია. ნუ თუ თქვენბური გლეხები ასე მდიდარი და შეძლებულნი არიან?

მე თითი მალა ავსწიე.

— ოოოო!!!

უცხოელებმა გოაცებით გადახედეს ერთმანეთს.

— გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ თქვენ ასეთ კეთილდღეობასთან ერთად ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არა გაქვთ, მოკრძალებით დასძინა ფრანგმა.

— რასა ბრძანებთ! ჩვენში ყველას თავისუფლად შეუძლია სწეროს, რაზედაც უნდა, წარმოიდგინეთ თვით ინტენდატებზედაც-კი.

— ეს რაღა არსებაა?!

— ესენი აი, დიდრონი, პაგონიანები, რომ ლებიც სატუსალოებში, ცხოვრებენ...

— ყველაფერი კარგი მაგრამ აი ეს ებრაელები...

— რა ებრაელები?! რა ებრაელები?! გავედავე ესპანიელს, რომელმაც წამოიწყა ეს წინადადება. საზოგადოთ საქირთა იცნობდეთ იმ საგანს, რომელზედაც ლაპარაკობთ. თქვენ ალბათ გსურთ ძველი ზღაპარი, ებრაელთა შევიწროება აღნიშნათ... მაშ იცოდეთ, რომ ჩვენში, მინისტრების გაზეთი, „როსიაც“ სავსეა ებრაელ თანამშრომლებით.

— და არავინ არაფერს უშავებს?

— სრულიად არაფერს.

— მაშ აი საქმე რაში ყოფილა... ღრმა ჩაფიქრებით წარმოსთქვა ინგლისულმა. სჩანს ყველა რეფორმები უკვე მივიღით?

მე ხელით კისერი ვაჩვენე.

— აი აქამდე, ყელამდე! ზოგჯერ, ზოგიერთი კეთილმოაზრე გვაგები კიდევაც ჯავრობენ: რათ

უნდა ერთ ერს ამდენი რეფორმებიო?! ბოლოს და ბოლოს მოსაწყენიც გახდენ ეს რეფორმები.

აღტაცებულმა ესპანიელმა უცებ ტაში შემოჰკრა და დაიძახა:

— ბატონებო, მაშ მე წინადადებას გაძლევთ დავლით სადღეგრძელო რუსეთის მოქალაქისა და ვუსურვოთ რუსეთს აყვავება და კეთილ დღეობა.

— ურრააა! შესძახეს ერთხმით დამსწრეებმა და შემომხვიენ გარს. ყველა ცდილობდა ჩემთვის ხელი გამოეწოდა, სალაში ეძღვნა

ჩემს სახეზე კი აღბეჭდილი იყო ნიშანი აუტანელი ამპარტავენებისა და მედიდურობისა.

ფალსტაფი.

ფიქრები

არა, არ მიყვარს ტურტა ბაღარი, სავარდ-ყვავილო, წარმტაც ოცნების, და მყუდროება სამარებრივი, ხავსი სულისა, ბორკილი ვენების! არც თუ სილაღე, ტკბილი ნექტარი, ლტოლვა, ნავარდი აღმა ცაშია; ჩემი სამყოფი აქ, დაბლა არის სადაც ყოველი მკაცრ ბრძოლაშია!

II

მძაგ უდაბნოში
ყრუ მარტოობა,
ობოლ-მწირობა,
განდევლობა;
კვენესა ტირილი,
მტერთ გასახარი;
მარად ჩივილი,
საგლოვ საზარი!

III

მიყვარს ცხოვრება ჩემს ბედში მყოფთან, სად ჯოჯოხეთი კუპრ-ცეცხლითა სდულს და სიცოცხლის ზღვის დიდი ზვირთი, ძირ ბუდიანათ ბობოქრობს და ჰქუხს! მეც სხვებ ტანჯვაში აქ დავიბადე; აქ ვიბრძვით ერთად შრომის შვილები რომ მოვიშოროთ მონობის ბაღ!

IV

აი რატომ მძულს,
ნაზი, ლამაზი,
ოცნების მხარე,
აყვავებული,
რომ ჯოჯოხეთში
მომე მწუხარე
ჰკენეს... ნუგეშს ელის
დამონებული!

V

აქ მე მჩაგვრელთა გულის გამგმირათ მომავლის რწმენით ვაფლერებ ჩანგსა

დაჩაგრულთ, სეგდის გასაქარებლათ,
ვეუგალობ. ვუმღერ, ბრძოლისა ჰანგსა!
ძმებო, ჰა ძმებო, ჩვენისა ოფლით,
სცემს საარსებო სიცოცხლის ზვირთი;
სხვებისათვის ექმნით სიმდიდრის გორებს
ჩვენ კი.
ეჰ, ვზიდოთ ცხოვრების ტვირთი!

გ. ქუჩიშვილი.

შეკითხვა ეშმაკისადმი.

ჭიათურის საავთანყოფო

20 იანვრის მორიგ სხდომაზე ეშმაკთა საბჭოს წარდგინა განსახილველათ შემდეგი შინაარსის შეკითხვა, ჭიათურის საავთანყოფოს შესახებ:

„მოეხსენება თუ არა ბ-ნ ეშმაკს, რომ ქალაქ ჭიათურაში შ. ქ. მ. საბჭოს აქვს საავთანყოფო, რომელშიაც მას ემსახურება შინა მუშაობა სამი ექიმი; რომ უკანასკნელი წლების კრიზისის გამო ერთი ექიმი თვით საბჭომ დაითხოვა, ხოლო მეორე ექიმმა თითონ დაითხოვა თავისი თავი; რომ ამრიგათ საავთანყოფო დარჩა ერთი ექიმის, სიმონ დავიდიჩის ანაბარა.

მოეხსენება თუ არა აგრეთვე ისიც, რომ ერთადერთი ჩვენი გამკურნებელი სიმონი სხვა და სხვა „საზოგადო“ საქმეთა გამო თვეში ოც დღეს ქუთაისსა და თფილისში ატარებს, ხოლო ათს საჩხერაში და რომ ადგილობრივი ავადმყოფნი მეთიასავით მოელოან მის ჭიათურაში მოვლინებას და რომ ის მხოლოდ კუდიან ვარსკვლავსავით თუ გამოინაგარდებს თვეში ერთხელ.

თუ მოეხსენება ყოველივე ეს, რა ღონისძიების მიღებას აპირობს მათი უშუალოდ მოხმობა.

შეკითხვის ავტორი **ზაზი ეშმაკი.**

ეშმაკთა საბჭომ იქონია მსჯელობა და დაადგინა.

„ვიინაიდან ღარიბ-უმწეოთა ამ ქვეყნური ცხოვრება მხოლოდ ტანჯვა-წაულებია.

რადგან მათი არსებობა ერთობ აუტანელი და მძიმეა. რადგან მათ ყოფნას, არ ყოფნა სჯობია, ხოლო ამ უკანასკნელში ხელს უწყობს პატივცემული „საზოგადო მოღვაწე“ ექიმი ს. დავიდიჩი, ამისათვის გამოეცხადოს მას დიდი მადლობა და თუ სურათი აღმოგვიჩნდეს, დაიკიდოს „მათრახის“ პირველ გვერდზე იმისი სახე!“

გოგინას ჩივილი.

(შესტვირული)

გოგელამ სთქვა: მოდი ერთს მეც სტიკის წავავლებ ხელსაო, დაუკრავ, ზედ დავატირებ, რაც გულს მიშხამავს დღესაო. თუმცა ზოგს არ ენადვლება ჩემი ტირილი-კვნესაო, მარა ბევრსაც-კი გულს დასწევას, ვიცი დადვრიან ცრემლსაო. ათასჯერ მეტათ-კი სჯობდა არ გავეჩინე ღმერთსაო, მეღამ ეამ ვწვალობ, ვთორევი ფუ, ასეთ სიცოცხლესაო!

ძალ-ღონე გამომაცალეს,
საწყალ, უმწეო გლეხსაო,
ვერ აუთავდი შინ ცოლ-შვილს,
და ვერც მოსეულ მტრებსაო...
ბოქაულს უმზერ ყოველ დღე,
და იმის სტრაჟნიკებსაო,
დასტრიალებენ ჩემს ოჯახს,
მართმევენ ყველაფერსაო,
ჩემი ნაშრომით აძლებენ
ათას გვარ ხორხონცებსაო,
ვაი ამ ჩემს თავს გატანჯულს,
ვაი ამ ჩემს შავ დღესაო!
რომელ ერთს უნდა გადვურჩე
ბოქაულს, სტრაჟს თუ მღვდელსაო?
სიკვდილი მიჯობს სიცოცხლეს
ფეცავ სინდისს და ღმერთსაო,
მარა სად არის ოხერი?
შემძვრალა სადღაც ხვრელსაო,
ეს არის ჩემი ჩივილი,
ჩემი ტირილი კვნესაო
და აღარ ვიცი რაღა ვქნა,
რომართო რომელ ხერხსაო,
რომ შევება მივცე დახშულ გულს,
აღვდე მე იმით ხელსაო,
რომ ჩემი ოფლით ნაშრომი
აღარ მიქონდეს სხვებსაო,
ვკვებავდე მშიერ ცოლ-შვილსა,
ვშველოდე მეგობრებსაო!..

ირაკლი.

ჩიზათელი ჯაოზიას სიმღერა.

კურთხეულ იყოს ეს წელი
ჩემთვის არ არის ცუდიო,
ყოველ დღე მომდის მუშტრებათ
მანდილოსანთა გუნდიო.
მეც მივუჯდები, კარტს გავშლი,
ვერ მცნობენ მელა ძუასო
ვისაც რას ვეტყვი მიჯერის
(მოხმარა უნდა ჭკუასო!)
ვინ საქმროსათვის მაკითხებს,
ვინ ყაჭის თესლის საქმესო,
ვინ დაკარგულს დაძებებს,
და ათას სხვა გვარ რამესო,
ბარგის წაშლბეც ოხრათ მაქვს,
ბლომათ შემომდის ფულიო.
ერთ ფოთელ სტუმარს წინაზე
ხელათ უცხოანე სულიო.
თუმც პოლიციამ ამაზე,
ოქმიც კი შემიყენაო,
მაგრამ მადლი ღმერთს, იმდენი
არ შემხვედრია წყენაო.
მობრძანდით ჩემო მუშტრებო
ვისაც გტკიოდეს ჭკუაო
ოსტატურ გავწმენდს ფულისგან
ჯაოზი მელა ძუაო.

სუ.



მესტვირული.

ამ ნაახალწლევს, სიფთაზე,
 კვალად ავიღე სტვირიმე,
 ახალსა წელსა დავეძებ,
 მიჩვენეთ თქვენი ჭირიმი,
 მინდა მას გადავხვიო
 და დაუკონო პირი მე.
 იქნება შემომსუბუქოს
 რაიმე გასაჭირი მე.
 ავდექ, კარისკარ დავდივარ,
 შემოვიარე დუნია,
 თვალიც კი ვერსად შევავლე
 ვბრუნდები უმადურია.
 რა ნახეთ ნეტავ ახალი
 გამომიქედეთ ყურია?..
 იქნებ ცხოვრება არ არის
 ძველებურ უგემურია?
 თუ იქნებ ჩავგრა მოისპო,
 კარზედ მოგვადგა ბედია
 აღარ ხარხარებს სიურცხვით
 ჩვენზედ დემონი ყბედია.
 იქნებ არ აძვეს ბორკილი
 ჩვენ ხელ-ფებს, ჩვენსა ენასა,
 და აზრი თავისუფალი
 განიცდის აღმაფრენასა?
 მგლები ცხვრებს ემოყვრებიან,

ითხოვენ მოტევენასა,
 ორივე ერთათ ცდილობენ
 სამშობლოს აყვავებასა?
 მაგრამ სად არის ან ერთი,
 ოცნება არის ყოველი...
 მაშ რას მიქვიან ახალი
 თუ მისგან არას მოველი?
 მეც მომატყუა ბრბოს ხმამა,
 შევცდი, ავიღე სტვირი მე.
 და თუ მე ვსტყუი, მიჩვენეთ
 სად არის თქვენი ჭირიმი.

შხანკოლა.

დ ე ბ ე შ ე ბ ი

ჭიათურა. არ გამართლდა ხმები, ვითომც აქ
 ბ-ნი კომეტა დასჯახებოდეს შავი ქვის საწარმოვო
 ადგილს. როგორც გამოირკვა, თურმე ბ-ნი ს.
 წ—ლი დაეჯახა შავი ქვის მწარმოებელ გ. ბ—ძეს.
 ხალხი დაწნარდა. მარცხი არაფერი მომხდარა.

ქუთაისი. ქუჩის ტლაპოები გაშრა. მოძრაობა
 დღითი უშიშარია. ღამით კი საჭიროა თან საკუ-
 თარი ფანარი იქონიო. ქალაქმა გამოიწერა მხო-
 ლოდ ათას ცხრაასი გალკინის ფანარი და ისიც
 ბულვარისათვის. ეს იმიტომ, რომ მოსალოდნელია
 ადგილობრივ ქალ-ვაჟთა სასწავლებლებს, რომელ-
 ნიც იერიშით მიდიან ერთმანეთზე, იქ მოუხდეთ
 შეტაკება.

ჭიათურა. სიცრუე გამოდგა ის ამბავი, თით-
 ქო ბ-ნ დაჯიანს ახალი ბანქოს მართვებელი მანქა-
 ნა გამოეგონოს. მან მხოლოდ გააუშჯობესა, უკვე
 არსებული, ძველი სისტემის მანქანა, თუმცა ესეც
 დიდ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში.

იქიდანვე. შ. ქ. მწარმოებელთა საბჭოს დაუდ-
 გენია: სამკითხველო ბუქაიჩის ყავახანაში გადაიტა-
 ნოს, რადგან მოწინავე მკითხველი საზოგადოება
 იქ იყრის თავს *).

ვილაჯ მ. წ-ძეს თურმე მუშები პირადათ არ
 დაუსმენია ფორვუდის გამგესთან, მან მხოლოდ წე-
 რილობით მისწერა ამის შესახებ.

ყვარიალა. ამდენი ხნის ყვირილის შემდეგ ყვი-
 რილას „ქალაქობა“ ებოძა. საერთო სიხარულია.
 ქალაქის თავად ერთხმად აირჩიეს კ. ფერაძე, რო-
 გორც ცნობილი ქველ-მოქმედი.

გამგეობის წევრებათ {
 ვანო რევაზიშვილი.
 სულ. გაჩეჩილაძე
 ალმ. ბებიაშვილი
 დარ. მაღლაკელიძე

ხმოსნებათ {
 მ. გაჩეჩილაძე
 ს. მშვენიერაძე
 ძმ. კვინიკიძეები,
 და სხვანი.

ქალაქის კასირათ ბ. ი. გაჩეჩილაძე,
 მდივანთ გ. გაჩეჩილაძე.

*) როგორც სხვა წყაროებიდან გაგვიგეთ, ბ-ნი ბუქაიჩი
 არ არის თანახმა; ის ამზობს სამკითხველო ჩემს „მოწინავე
 და პატივცემულ“ მუშტრეუს დამიფრთხობს და რათ გინდოთ
 ჩემს ცოდვაში ჩადგომია. ეშმაკი.

✦ შ ა რ ა დ ა .

სამი სახელი გვჭირია
 შარადის შესადგენათა,
 ზოგს ახლო ნახავთ,
 ზოგი კა გახდება შორს სარბენათა,
 აი თუნდ, ერთი მათგანი
 ჯიშია მცენარეული,
 არც ყვავილს ისხამს, არც ფოთოლოს
 ისე, ტიტვლათ, დგას წყეული.
 უყვარს ნოტიო ალაგი,
 ზედ ჩრდილი წამოწეული...
 ნორჩი იჭმევა კიდევაც
 და არა ხანმოთეული,
 ის უნდა შვაზე გაიჭრას,
 გინდ კალმით, გინა დანითა,
 სიგრძეზე კი არ დაუსვათ,
 უმჯობესია განითა,
 და ნახევარი მეორე,
 (შემდგარი ორ ანბანითა)
 შემოინახეთ ერთგულათ
 ჯიბეში ცოტა ხანითა.
 მეორე სიტყვა ახლოა,
 ის გახლავთ ნაცვალ სახელი,
 პირველი ხარისხოვანი
 და თქვენგან დაუძრახველი.
 მესამე სიტყვაც მოკლეა,
 ადვილათ მოგაგონდება,
 ერთ-ერთი კრიტიკოსისა
 ზედმეტი სახელ-წოდება...
 (აქვე შევნიშნოთ, ამ ყმაწვილს
 სჩვევია მიღებ-მოღება,
 ყვავისა მოყვანჩალისგან
 ბუღბუღი მოელოდება.)
 მე ვიცი თქვენი ამბავი,
 უთუოდ შეგეცოდება
 მაგრამ რა ვუყოთ, ამასაც
 სჭირია დანის მოღება,
 უთუოდ უნდა გაიჭრას,
 არარას გვარგებს გოდება.
 თავი საცა გსურთ ისროლეთ,
 მეტათ არ დაიკოდება...
 ჩვენთვის კი არის საქარო
 კუდიხა გამოწოდება.

მიაწყობთ ამა ნაწყვეტებს
 ისე, როგორცა სწერია
 და უცებ ნახავთ სასწაულს,
 განგებს დაუწერია...
 თვალი აქვს მუშტის ოდენა,
 უზომო კუდის წვერია,
 ვინ დაპატიჟა ნეტავი
 თავი რომ აუღერია?

ბევრი სულელი დააფრთხო
 და უფრო მეტი შტერია,
 (საცა კი ქორი ისმინეს
 სულ-ყველა დაუჯერია)
 ფიქრობენ: უცხო სტუმარი
 მათი მოსისხლე მტერია,
 მოდის, რომ დედა-მიწასა
 აღინოს ნაცარ მტვერია.
 აღბათ კიდევაც ახსენით,
 აქ ძნელი არაფერია...
 და ვინაც ყოყმობს... უთუოდ
 ბლომათ ყავს თავში მწყერია.

კოლო.

დ ე ბ ე შ ე ბ ი .

გურია

(ლიკლიკაძის სააგენტო)

ოფურბეტი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ
 შეიპყრო გუტენბერგის მანქანა, რომელიც მარტო
 ,,უზრავის“ პასპორტით შემოპარულიყო. დამნაშავე
 კოქის ძაფით დააკავეს, მაგრამ როცა მას დიდი ვა-
 სილის ირადე აღმოაჩნდა, მყისვე გაანთავისუფლეს.

იჩიღანვე. ინსპექტორმა ადგილობრივ ქა-
 დარზე შემდეგი განცხადება გააკრა: ,,ვუბრძანებ
 ყველას, არავინ დაიჯეროს, თითქო მე დატყვევებულ
 მასწავლებელ ქალებზე ვისთვისმე რამე მომეხსენე-
 ბიოს. ვინც ამ განცხადებას ეჭვის თვალთ შეხე-
 დავს“...

ასკანა. შოველით ვეზეკუციას და 6000 მ.
 ჯარიმას, რადგან როგორც დანამდვილებით გამო-
 ირკვა, ქუთაისში ვერაგულათ მოკლულ თ. დადი-
 შქელიანს გურიაში ყოფნის დროს ასკანაში გაუფ-
 ლია, როგორც ლესნიჩს.

ბასილეთი. დღეს გერასიმე მეგრელიძეს არც
 ძროხა დაუჭერია და არც კანცელარიასზე ყოფილა.
 ასალოკი პრისტავს ემუქრება: თუ არ დამიჯერებ
 აწი აღარაფერს გეტყვიო.

მჩქეტი. გარდაიცვალა ახალგაზრდა თხა, რომელიც
 მაქსიმე მგალობლიშვილი ,,ჩერეხ ტიომნს“
 ეთამაშეოდა.

ჩოხატაური. ბიბლიოთეკის გახსნას მოყვა
 ,,კონტრ ყავახანა“, რომელსაც მეტი მუშტარი
 ყავს.

იჩიღანვე. სამი დღეა, რომ ერმალოს არავინ
 გაულახავს.

არ დაუთმო!

(სურათი.)

ზამთარი არის. ჰყინავს.
 ცაში ვარსკვლავი ბრწყინავს.
 ბნელა. არა სჩანს მთვარე.
 მიღუმებულა არე...

შორს... შორს სადღაც, გზაზედა
კაენიანს ხმაზედა
მოჰყვა მეურმე მღერას
და თვის მწარ გულის ძგერას
სიმღერაში გამოსთქვამს,
თითქოს სტირის და მოსთქვამს...
— ჰალ! ჰამო, ლომა, შენ!
ახრქიანებ კბილებს, ჰქვენ:
ეჯიბრები ნიშასა...
გასწი, არა გიშავსა!..

დელა დელი დელასა...
მირჩვენინხარ ყველასა!..
ჰამო! რ.ს ითრევ ფეხსა,
მაგ ძირში მოსატეხსა?
„ტყლაშ!“ გერგება, ლომა, შენ.—
სულ ფეხს ითრევ! კენესი! ჰქვენ!!
ნიშა! ჰამო, კენესამე,
თორემ ამ სახრესა მე
არ დავზოგავ შენთვინა..
გასწით, სულ წინ! და... წინა!..
გავლით გზა, ტიალი!..
დერძმა იწყო კრიალი!..
ტყვილა კი არ გეგონოს!
ის უნდა გაიქონოს,
რომ უფრო ტრიალდეს
და აღარ აქრიალდეს...
..ზამთარი არის. ჰყინავს.
ცაში ვარსკლავი ბრწყინავს.
ჩემო მწველო, ეხლა შენ,
იქნება, ტკბილათ გძინავს!
იქნებ მე ძელოდები
და გულზე, ვით ლოდები,
სევდა შემოგწოლია.
ჰოი, ჩემო ლოლია!
გულ-მკერდ-ფიქალ-ბროლია ..
უკეთესი ამ ქვეყნად
მე ჯერ არ ვინ მყოლია...
„ტყლაშ“!.. „წინა“!.. ჰამო, ტიალო,
ხარო, შე სატიალო!..
..ჩუ! ნაკადი კისკისებს.
ესეც სევდით გულს მივსებს.
ნაკადო, რა გახარებს?
საით, რა მიგაჩქარებს?!
დადექ! მითხარი რამე
და გული დამიამე.
ჩემ საყვარელს ხომ იცნობ?!
და წყლულს ხომ ვერ დამიცხრობ
მაზე ამბის დენითა
შენი ლიკ-ლიკ ენითა?!
— ხა, ხა, ხა, ხა, კლა, კლა, კლა!
უნდა გული მოგიკლა:
შენი სატრფო, ლოლია,
ეხლა სხვისი ცოლია!..

იქ... შუა გულ სოფლათა
საყდარი სდგას ობლათა,
მისას აღებენ კარსა...
სამჯერ ჩამოჰკვრენ ზარსა...
მღვდელი ოლარსა იცვამს,
გრძელ წვერზე ხელს დაისვამს.
ცმუკავს წვერი, ცანცარებს...
საყდარში ხმა ზანზარებს:
მღვდელმა დაიწყო კითხვა,
მას დიაკონიც მიჰყვა...
წინ წამოდგა სასიძო.
რას იღრიქები, ბიჭო?
ვერა ხედავ დედოფალს,
რა ფერი ადევს საწყალს?!
იგი სატრფო სხვისია,
სხვისი გულის თვისია!!
„არა გული გითქმიდეს...“
ცოდვას სწადი უდიდეს!
ნუ სტაცებ სხვას გულის ვარდს...
ნუ გაუჩენ მწვავე დარდს,
ეხსენ ნუ იგვიანებ,
თორემ ბოლოს ინანებ!..
არა... მოიკლა ჟინი:
თავს დაიდგა გვირგვინი!
..მიულოცვენ სიძესა:
დღეგრძელებას, სიბრძნესა...
დედოფალსა .. მაგრამ ის
არას უსმენს არავის.
სევდას დანამონები,
მწარეთ დანაღონები,
ჰფიქრობს თავის გელაზე,
უსულტკბესსა, „ყველაზე.“
„ნეტავ, სათ დაიკარგა?
ნუ თუ ვეღარ ივარგა?!
თუ იცის ეგ ამბავი
და დასთმო ჩემი თავი,
მაშინ მისი მარჯვენა
უფალმა შეაჩვენა!
შერცხვენილსა ყველგანა
ზიზღს უთვლიდეს ქვეყანა
და სამასხროთ იგდებდეს...
ყველა პირს არიდებდეს...
დე, მოლაღატე უხმონ
და მით გული გაუხმონ!..“
..გელა კი .. იქ, გზაზედა
კაენიანს ხმაზედა
კვლავ განაგრძობს სიმღერას
და თვის მწარ გულის ძგერას
სიმღერაში გამოსთქვამს,
თითქოს სტირის და მოსთქვამს...
ნაკადი კვლავ ლიკლიკებს
და სიოც ტყის ბილიკებს

გასდევ-გამოსდევს, სკურავს,
ფრთასა შლის, ხანი... სწურავს...

ზამთარი არის ჰყინავს.
ცაში ვარსკლავი ბრწყინავს.
ჩუ! ამოცურდა მთვარე
და გაანათა არე...
განთიადის ვარსკლავიც,
ეგ ტურფა სანახავიც,
ცაზე ამოიპარა,
ეს ვინღა დაიბარა?!
გარიჟრაჟის მოციქულს
მიწა უწვდის გრძნობით გულს,
იცის, რომ ნახავს მალე
მზეს, ცაზე აბრძანებულს.
ის შეუშვებს მუხრუქებს,
ეხლა ყინვა რომ უქერს,
გაიხარებს ქვეყანა:
მზე ტახტს დასდგამს ყველგანა!
ახლოა განთიადი,
ახლოა, ის დიადი!..
ოქ კი... მეურმე გზაზე
კაქუნინანსა ხმაზე
კვლავ განაგრძობს სიმღერას
და თვის მწარ გულის ძგერას
სიმღერაში გამოსთქვამს,
თითქოს სტირის და მოსთქვამს...

— „მმოო! ხიი!! ხარებო,
შრომა დაუზარებო!

აწ ტბილათ მოისვენეთ,
დიდ გზა გამოიარებო“.
ბოსელში აბამს ხარებს...
მიდგება ქოხის კარებს;
— „დედი, გამიღე კარი!
მოველი ცოცხალ მკვდარი.
გზისაგან დავიღალე,
ლოგინი გამიშალე:
უძილობა მაწუხებს,
თითქოს მიქერს მარწუხებს!.
ქრიალებს კარი ნელა...
ქოხში ჯერ ისევ ბნელა...
მოსულს მოხუცი დედა
ამ სატყვეთ ეგებება:
„ძილი და მოსვენება
მას ესაიმოვენება,
ვისიც სიამაყესა
ვერ ვინ უგებს მახესა!..
რათ გინდა, შვილო, ძილი
და მოსვენება ტკბილი:
როცა შენი ლოლია
ეხლა სხვისი ცოლია?!
ბეჭა ნადირიძემა,
იმ ადრე სამიწემა,
ქალის მშობელთ ნებითა

ძალად ქორწინებითა
წუხელ ისკვნა გვირგვინი!
მოიკლა მგლური ჟინი“...
კარი კვლავ აქრიალდა...
გელა გამოტრიალდა,
ხელში უპყრია ცული,
მიდის გაჩქარებული...
ცივი სიო დილისა,
გამფრთხობელი ძილისა
სახეზე სცემს გელასა,
მასთან გულიც ძგერასა
თან და თან აძლიერებს
და მკერდს უგანიერებს...
ერუოლა უვლის მთელს ტანში...
არის რაღაც ბურანში,
სრულს თავ-დავიწყებაში...
საქორწილო სეფაში
გამოჩნდა ცულიანი,
კუშტი პირ-დორბლიანი...
და იქ, სადაც მეფე ზის,
მიიჭრა გიჟივით ის:
წამოუმარჯვა ცული
და თავშევა — გაბასრული
მეფე წამოიხარა:
სისხლით ჩამოიღვარა.
ერთი ამოიგმინა
და იქვე... მიიძინა...
აღრიალდა წვეული:
„ვინ არის ეგ წყეული?!“
მაგრამ გელა ცულითვე
გარბის, როგორც ეული!..
გათენდა. აღარ ჰყინავს.
ქვეყანას აღარ სძინავს,
და დილისა მზის სხივი
სისხლზე დაცვლქობს... ბრწყინავს...

6. ზომღეთელი.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(საჩინოს მხარისათვის)

- ჯოჯოხეთურა ტანჯვა.** სამტრედიიდან საჩინომდე მოგზავრობა.
- ბეწვის ხიდა** — კახიანების ბორანი, სადაც ცივ-ქარსა და ყინვაში მგზავრს ნახევარი საათი სჭირია ყურყუტი.
- წყალტუბოს აბანო** — შუანთის ბაზარი, სადაც ტალახში ბანაობა უფასოა, როგორც ალმინების, აგრეთვე ღორებისთვისაც.
- ალადასტური** — ამ მხრის სპილოების მათრობელი. ყურძნის წვენი.
- სამკითხველო** — ტობანიერელთა საოცნებო საგანი.
- ვაჭრობა** ჩვენებური ხუცესთ-მოქმედება.
- ვანის სამკითხველო** — დაუმარხავი ცხეღარი. უჭირისუფლო მიცვალებული.
- გაზეთი** — აქაურ ინტელიგენტთა „ხურმა-ხილი“, (თანახმად ქართული ანდაზისა,) ანუ „ფორთოხალი“ (თანახმად რუსული ანდაზისა.)

გურული სცენა.

დათიკა. გამარჯობა, ესიკავ შენი! საით მიეჩქარები კაცო, ხომ გაგიგონია აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია“-ო? ვინც იჩქარა, ის ყველა წვეიდა. მოდი ერთი რამე ახალი ამბავი მითხარი, შენ ცოტა ნაპაეალოუსტევი კაცი ხარ, რამეს წაიკითხავდი ვაზეთებში

ესიკა. რა გაგიზიარო ჩემო დათიკავ, ღმერთმა დასწყევლოს ახლანდელი დროება, ძალი პატრონს ვერ ცნობილობსო“ რომ იტყოდენ სტორეთ ეს არის! ვიბუნტეთ, ვიბუნტეთ და რავარც იყო ერთი დუმა ვიშონეთ, ვიფიქრე აწი რაღა მიშავს, ხალხის წარმომადგენლები შეეკრიბება და ხალხისა კარგ ზაკონს გამოსცემს მეთქინ; თურმე ნუ იტყვი უცნაურს, იგი თავისთვის სდომებინ, შეეკრიბეს პირველს და რომ ვეფერი გამოჩენ, კრეს პაღური და გამოაბუნძულეს. შეეკრიბეს მეორე და უფრო უარესი დღე დააყენეს, ბოლოს გამოსწმინდეს მათი ნამყოფი სადგომი, ეფისკოპოსს აიაზმა მოაშხურებინეს, ასარჩევი ზაკონი შეახლაფორთ-შემოახლაფორთეს და მოუყარეს კიდევ მესამე დუმის თავი. ამგენს კი აღარავინ არ რეკავს თუ ჩვენ არ გავრეკეთ. დათიკას რომ მქადი არ აქვს, ესიკას რომ უბრალოთ ბოქაული არჩობს, პეტრიას რომ ერთხელ გადახდილ გადასახადში ხელმეორეთ ტყავს აძრობენ, ამისთვის იგენი თავს არ იწუხებენ.

დათიკა. კი მარა ტყვილა წამქამა იმ დაღუპულმა ვანიამ თავი, აგერ დუმა შეიკრიბება და ჩვენ ბედს ძალი არ დაუყუფსო? ორი დღე ვიყუნცულე ოზურგეთში კაი კაცი გვინდა გავგზავნოთ დუმაში და თეთრი კენჭი მოგვეციო, კი გავათეთრეთ კას რო ეძახოდენ იი კაცი და მაინც შავი გამოდგა ის ოჯახ დაქცეულის შვილი?

ესიკა. შენ კი გაათეთრე ჩემო დათიკა და იგი იქინეიც თეთრია, მარა უმრავლესობამ შავები ეირჩია და აბა მითხარი რა უნდა ქნას ორას შავებში ერთმა და ორმა თეთრმა? გაშავდა მათი პიოი და დრჯილი, რეიზა მაინდამაინც შავები აირჩიეს, უბრალო ფეხ-დაფურეშკულმა ყანის თოხნია ყაძახმა თუ კი მივხვდი თეთრს უნდოდა არჩევა, იგინს რა ღმერთი გაუწყრა?

დათიკა. მათი ინტერესები შავებს მოითხოვდა და ისე ქნეს. შავში დაყურული ვნახე მათი ცოლ-შვილი. მეც მარა მათაც მამაის ცხონებამ ის ურჩენიათ ცოტა სადავე მოსწიონ, თვარა ჩემ მქვარტლიან ქოხში რომ აღარაფერი ექნებათ საკენკი, მერე მათ ქარვასლებს მიადგებიან და მაშინ გვიან იქნება, ჩემო ესიკა.

ესიკა. თავი დავანებოთ ამ დიდრვან ამბევებს, მე ჩაკუნია ყაძახს მითქვამს შენთვის და აბა იცოცხლე და უყურე, თუ არ ამისრულდეს. დღეს კია ასე

მარა გადაბრუნდის, აუცალებლათ გადმობრუნდი მოყვება იცოდე; ხოლოდ ამ პირსისხლიანმა მემამულეებმა და ბანკებმა, რომ თავი ეიგდეს და მიწის ღალას ერთი ორათ ზდიან ნეტავი რას ფიქრობენ? ჯერ იყო და შარშან თითო მანეთი მოგვიმატეს ქცევაზე. მაშინ პატროსანი სიტყვა მოგვეცეს მეტს აღარ მოუმატებთო,—წელს კი ორ ორი მანეთი ზედ მეტი გამოგვიცხადეს: თუ გინდებიან ამ პირობებში იმუშავეთ, თვარა კერძის არტყით თავიო. ამ გაის კიდევ ვინ იცის რას იხამენ. რას იხამენ და კიდევ მოუმატებინ ჩემო დათიკა. ან კი რა ქნან, გიორგი ჩიჩუას ორასი მანეთი ერთ სადილზე არ ყოფნის, სადაც ერთი ტყის მცველი ყავს იქინეი ათს ამბობს და ცხრის ჯამაგირს თავის ცხრილში უშობს. კერძო მემამულეები „აფხანაკობის“ დროს რომ პირობებზე დაგვთანხმდენ და იხარაღეს იმის ანაზღურებას ფიქრობენ და ყველა ამას ხომ ფული სჭირია და ისინიც უმატებენ და უმატებენ მიწის ღალას. კი მარა წაუღუნოთ კისერი და უსრულოთ მათი სურვილები?

დათიკა. წახან შენ თვითონ არ თქვი გადაბრუნდის გადმობრუნდი“ მოყვებაო, მეც ამ აზრის ვარ მანამდის უნდა მოვითმინოთ.

ესიკა. იქნება ახლა გაეწყოს რამე მეთქინ, თვარა მაშინიზა ქე ვიცი. იმ დღეს ღმერთი კი მომასწრობდეს, თვარა რავაც დამბულ მელისას არ ვენდობი, არც მათ პატროსნურ სიტყვას.

კასიო.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოლპეკრაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлиса, Типография Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 კალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შერდი შაურის მარკები და ამ ფაშის მიიღებს თავის ადრესზე.



ლიკა

ქართველი კოეტიები.

კუშაკი. ბნო ივანე, ერთი მიიხაროთ გეოგეო, რასა სწერავენ ეს მგოსნები?
იგ. გომარტედლი. ჩვენი მგოსნები მხოლოდ სტირიან, სტირიან და სტირიან!
კუშაკი. ჰმ!...

სენის მაგიერი.

(მოკითხვის უსტარი ეშმაკისადმი.)

სანახავათ სანატრელო ეშმაკთა უბუცესო! მოგილოცავ ახალ წელიწადს და გისურვებ ას ტლიკვს დასწრებოდე. სხვა, ვიცი შენი კაი გუნების ამბავი, რომ მეც მიკითხავ. მე რავარც იყო ძველი წელიწადი ქე წავაჯახირე რაცხა ძაღლ-ლორობაი, მარა შინს მტერს გუჟთენდეს იმისთანა კალანდა მე რო გამოთენდა. რაი და მეძვერა რაცხა ფინდისხვით კაკალ თავის კინიხში. დედავ, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მარა აფერი. მოვში ისევე ლანჩუთის ახალ „ბალნიცაში“. შეველიჯინდი შით. გამევიდა ერთი ფერშალი. მე ჩემი უთხარი, მან მისი თქვა და ისევე შებრუნდა. ჰე დამტია იქინეი შენ ხარ ჩემი ბატონი და რამდენიმე საათი დვისი ძაღლი ხარო“ კაცს აფერი უკითხავს. აწი და არც ყოლიან ჩემს მეტი არა კაცი. მერე ისევე მივიგუნება შენ ხარ ჩემი ბატონი, და დამიძახა. მეც მამვინე ფხეკა მუადინე შით. მომდგა ჩვენების ჩამორთმევას, მარა რა, ბაბუაის აქიდამაი რავა დუტიეზია რამე. მეც მოვანდე ზოგი ცრუობა, ზოგი მართალი შენგან არ გამემჟღავნება და წლოვანობაში კი შევადლიტე კაი სამი ტლიკვი წელიწადი. ნამეტარი რომ ჩამაფიჩინდა, გული შემისინჩათა, ეგება მივეწონე თვალში, ვინმეს მიშვამაულებს მეთქინ და სამი წელიწადი კას წამიძახებს ახალგაზღობისკენ მეთქი, მარა რა შუაშია. ავი რომ ჩანიშნა ქითაბში ში გამომიძახა პარმალში. დივესვე საყესავით კუთხეში ამ ქარფისში და ვიყურყუტე თელი ნახევარი დღე. ბოლოს რავარც იყო გამობრძანდა ვინცხა თლა ღლაენი რომაა და მკითხა რა გტკივაო. ვი დედავ, შენი ცოლშვილის დამაწყევარს სტკივა იმისანაი მეთქი, უთხარი, რომ მევედი მამვინ შაკიკიდან თავი მტკიავოდა, ახლა ხელფეხში ჩამდგარი მაქ, მუცელი მიყურყულებს, კბილები მიკრაქუნებს, გულზე მისიანტებს, ძუძუში მიჩხუტუნებს, თავში მიძგარუნებს, ყურში მიძიძინებს, ვკტები სხვაი რალაი მეთქი. არაფერიოა გადინარხარა და ჩამიფცქვია ქალადის ნაგლეჯებში რაცხა უმარულსავით თეთრი და ძირმწარასავით მწარე. მოვცოცხე შინ და ცულუბე, მარა ვინაც შენი მათრასი დაგიწყევლოს იმას არ წაადგეს ეპისკოპოზის წირვა იმისგამეტი, რაისგამეტი მე იგი არ წამდგომოდეს. თურმე კაცო რა გინდა იქინეო, დავეყე კვარაკუნჩხაის ძირი, წვენი ჩეთხბრინე ცხვირში და თვალის დაეღვის ხანს ფშუკვას მოადენს ტკივილი. ჰოდა ავიც რომ არ ეცოდინება იმისანაი აქიმები ბალიასტომში ჩუტანია ორაგვის ღელეს.

სხვას მერე მოგწერ მშვიდობით. შენი
შხანკოლას.

წერილები რელაქციის მიმართ.

ბ. პ. დევიძემ გამოიწვია სამედიატორო სამართალში ბ. პ. „მათრასი და სალამურის“ № 23-ში მოთავსებულ წერილის გამო. მედიატორებთან დასახელა ექიმო ვე. გ. ლოსაბერიძე და მას წ. ნოე დევიძე. ბ. პ. ნომე თავის მხრივც ესენი დასაბუღა—ექ. ვე. გ. ლოსაბერიძე და მასწ. ნოე დევიძე.

ჩვენ მედიატორებმა თავმჯდომარე ვირჩიეთ ბ. ალექსანდრე ლეჟავა და შევედუტეთ საქმის ვარჩევას. ბ. პ. წერილობითი კითხვები წარმოადგინა. მოვისმინეთ მოპირდაპირეთა და მოწვევების ჩვენება და იმ გადაწყვეტილებას დავედუტეთ, რომ ბ. კორესპონდენტმა ფაქტები ქრონოლოგიურათ სისწორით აღნიშნა: ჯერ „სკოლაში“ იყო ბ. ნუტუბიძე დი თვენახევარი მაცადინობის შედეგ მოვიდა პ. დევიძე. ამასთანვე სხვა და სხვა პირებისაგან ხეები იყო გავრცელებული, რომ ბ. დევიძემ ბ. ნუტუბიძე ადგილიდან გადააგდო და თითონ კი მისი ადგილი დაიკავა, რამაც საბაბი მისცა ბ. კორესპონდენტს ზემო აღნიშნული წერილი მოეცაყებინა. მაგრამ ჩვენ მოწვევების გამოკითხვით და ფაქტების შემოწმებით დაერწმუნდით, რომ ბ. დევიძეს ამ საქმეში არავითარ ზნეობის დამამკირებელ და დასაგმობა საშვალეებისათვის არ შეეძრათავს. ბ. ნუტუბიძე მხოლოდ სკოლის მმართველი მდგდლისაგან იყო დამკვეთი დროებით სამაკადინოთ სკოლაში. ბ. დევიძეც ერთი კანდიდატთაგანი იყო ამ ადგილზე, რომელსაც სავარაქოო რჩევისაგან უპირატესობა მიეცა.

სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე
ალექსანდრე ლეჟავა.

ექიმი ვეს. გ. ლოსაბერიძე.

მედიატორები

მასწ. ნოე დევიძე.

ბ. რელაქტორო! „მათრასის“ № 23-ში დასტამებულია კორესპონდენცია კიათურის და კიათურის ცის ტატნობზე“, რომლის ავტორი ამ წერილში ჩვენც გვიხსენიებს „ორი ქალის“ სახელით.

სტატია ისეთ ილიუზიას უტოებს მკითხველს, თითქმის ეს „ორი ქალი“ რითიმე იჩაგრებოდენ საბჭოს მიერ, პროგიმნაზიის გაქირვებისადმი უყურადღებობის გამო და სოლიდარობას უწვევდენ ხსენებული კორესპონდენციის ავტორს.

ნამდვილად კი აზოვითარი უკმაყოფილება ჩვენ საბჭოსთან არ გვაქვს, არასოდეს ისე უკმენათ ჩვენ არ მოგვეტყვიან ს ბჭოში, სადაც პროგიმნაზიის საქმეზე თამამად შევედივართ და არა თუ სოლიდარობას უწვევთ ზემოთხსენებულ კორესპონდენციის ავტორს, ერთნაირთ წინააღმდეგი ვართ ამ უსაფუძვლო ფანტაზიას.

კიათურის საქ. პროგიმნაზიის გამგენი ნინო შარაშიძისა და მ. ხეიძე.

13 დეკემბრიდან თფილის გამოდის სალიტერატურო ჟურნალი

„სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ თფილისში: ი. კლადის სტამბაში ვსლავიანოვის ქუჩა № 6 და ვ. კადიდასთან წიგნის მღაზია ადლიან „ში კარჩინი ქუჩა № 9 პროვინციაში—ქუთაისში—წიგნის მღაზია—„იკერეთში“ ის. კვიციანიძისთან. სამტრედიასში რე. გვ. შკაფში—გ. მასარაძისთან ოსურგეთში—მ. თალავაძისთან; ჭიათურაში—გ. ხურაძისთან ჩოხატაურში—ს. თავართქილაძისთან, ხადისთავში—ე. ღომთათიძისთან და სხვას.

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოგზავნოს: Тифлисе Типографію „Печатное дѣло“ Беляминовская № 6 Поліевнту Ант. Каландадзе.

წელიწადი 1910 წლისათვის მ ა ო რ ა ე.

მიიღება ხელის მოწერა
უთველ-კვირულ იუმორისტულ ჟურნალზე



ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავეის-
ტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

პრემიათ გააბზავნება სხალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-
მოები და სხვა. რედაქცია რეგისტრირებული იქნება სასაზღვროში.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუთილაბლათ შემოიტანონ პირველ
ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა
შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახი და სალამური“ გამოვა იმავ ში-
ნაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ:
აზიანი, ბლაკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოდდემარა, ზამდეთელი, თურდოს-
პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, შატნა, ტ. რამიშვილი,
რუსაძე, რუსაგელი, ტუქსიშვილი, ფან-ტეფო, ქუჩიაშვილი, შხანკელა და სხვანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“
Василию Карамановичу Болквадзе.



ბ ე დ ნ ი ე რ ი ქ ა ლ ა ქ ი

ნ. ნიკოლაძე, აი შეიღებო, მოქალაქენო,
 ახლაც არ შეითხავთ:
 „ნიკო რა ჰქენო?“
 დღეს ხომ კი ხედავს თქვენი თვალები
 როგორ შევსძინე
 ქალაქს ვალები?
 ყოველგვარ საქმეს „თავი“ სჭირია
 მოსაქმე თავი,
 ერთობ ძვირია.

მე რომ პეტერბურგს არ მემოგზავრა,
 სად გვეწებოდათ
 ამდენი ფარა?
 ახლა მეუფეს მაღლი შესწირეთ,
 ცხარე ცრემლებით
 იგლოვ-იტირეთ,
 რომ გვიან გვექნეს გადასახდელი
 რადგან თქვენა ხართ
 ტყავ გასახდელი.